საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი)



ი. სტალინი

იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი) (1879-1953), საბჭოთა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. საბჭოთა კავშირის მარშალი (1943), საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი (1945), 1922 წლიდან - რკპ(ბ) ცკ-ის (შემდეგ სკკპ) გენერალური მდივანი. დაიბადა საქართველოში, ქ. გორში, მეწაღე ხელოსნის ოჯახში. 1894 წელს დაამთავრა გორის სასულიერო სემინარია, სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც 1899 წელს გარიცხეს რევოლუციური საქმიანობისათვის. ამის შემდეგ დაიწყო არალეგალური ცხოვრება და პროფესიონალი რევოლუციონერი გახდა. იატაკქვეშა რევოლუციური მოღვაწეობისათვის არაერთხელ იყო დაპატიმრებული და გადასახლებული. 1903 წლიდან ბოლშევიკებს მიემხრო და ვ. ლენინს დაუახლოვდა. ლენინის ინიციატივით 1912 წელს შეიყვანეს ცკ-ის შემადგენლობაში და ცკ-ის რუსეთის ბიუროში. ბოლო გადასახლებიდან დაბრუნებული, სტალინი აქტიურად მონაწილეობდა 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების მომზადებასა და განხორციელებაში. შედიოდა შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს - სამხედრო-რევოლუციური ცენტრის პეტროგრადის სამხედრო რევკომის შემადგენლობაში. 1917 წლის ოქტომბერში სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე აირჩიეს პირველი საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაში ეროვნებათა საქმეების სახკომად (1917-23). ერთდროულად, 1919-22 წლებში ხელმძღვანელობდა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს. 1921 წლის თებერვალში იყო დამოუკიდებელი საქართველოს ანექსიისა და დემოკრატიული ხელისუფლების დამხობის

ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი. 1922 წელს რკპ(ბ) ცკ-ის გენერალურ მდივნად აირჩიეს. ამ პოსტზე მან 30 წელზე მეტხანს დაჰყო. მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისისთვის სტალინმა დაასრულა ვ. ლენინისა და ლ. ტროცკის მიერ დაწყებული საქმე და მთელს სსრკ-ში, დიდი მსხვერპლის ფასად, დაამყარა ტოტალიტარული რეპრესიული რეჟიმი. მანვე განავითარა ლენინის მიერ შემუშავებული "ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის" გეგმა და თავის ერთგულ თანაპარტიელებთან ერთად (ვ. მოლოტოვი, ლ. ბერია, ლ. კაგანოვიჩი, ნ. ხრუშჩოვი, ა. მიქოიანი და სხვ.), გაატარა ქვეყნის ფორსირებული ინდუსტრიალიზაციისა და გლეხური მეურნეობების ძალადობრივი კოლექტივიზაციის კურსი, რამაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. II მსოფლიო ომის წინა პერიოდში მის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად სსრკ-მ მოახდინა დასავლეთ უკრაინის, დასავლეთ ბელორუსიის, ბესარაბიის და ფინეთის ტერიტორიათა ნაწილების ანექსია. სსრკ-ის შემადგენლობაში აღმოჩნდა ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკა (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი). 1941 წლის მაისში სტალინი დაინიშნა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ (1946-იდან სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე). სსრკ-გერმანიის ომის დროს იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე (1941 წლის ივნისი), სსრკ თავდაცვის სახკომი (1941 წლის ივლისი), სსრკ შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი (1941 წლის აგვისტო). სტალინს დიდი როლი მიუძღვის ფაშიზმის დამარცხებაში. მისი მხარდაჭერით შეიქმნა ანტიჰიტლერული კოალიცია. როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური, მონაწილეობდა სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერების თეირანის (1943), იალტისა (1945) და პოტსდამის (1945) კონფერენციებში. საბჭოთა ჯარებმა ფაშისტებისაგან გაათავისუფლეს აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის უდიდესი ნაწილი, მაგრამ შემდეგ ამავე ქვეყნებში ძალით დამყარდა რეპრესიული კომუნისტური რეჟიმები. სტალინმა შეიმუშავა და პრაქტიკულად განახორციელა "სოციალისტური ბანაკის" შექმნის იდეა, რაც "ცივი ომის" წარმოქმნისა და სსრკ-სა და დასავლეთს შორის დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა. სტალინის მეთაურობით საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოგვევლინა "სუპერსახელმწიფოდ". სკკპ მე-20 (1956) ყრილობაზე, უკვე სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ახალმა საბჭოთა ხელისუფლებამ მკაცრად გააკრიტიკა ე. წ. პიროვნების კულტი და დაგმო სტალინის მოღვაწეობა.

ი. სტალინი დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.